11560-04-2-2-201910251359

N 04-2/11560
25/10/2019

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას

ხ. ბ.-ის, ნ. კ.-ის, მ. კ.-ის, ბ. თ.-ის, მ. გ.-ის, მ. ქ.-ის, ა. გ.-ის, გ. დ-ის და დ. ც-ას
საჩივართან დაკავშირებთ

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლისა და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. ფაქტობრივი გარემოებები

2019 წლის 14 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურმა ხ. ბ.-ის, ნ. კ.-ის, მ. კ.-ის, ბ. თ.-ის, მ. გ.-ის, მ. ქ.-ის, ა. გ.-ის, გ. დ-ის და დ. ც-ას მიმართ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები 28 ივლისს, 29 ივლისს, 2 აგვისტოს და 3 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში (შეკვეთილი), შპს „ურეკი რეზიდენსის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტების გამო.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 5 სექტემბრის დადგენილებით, განხორციელდა დასახელებული პირების სამართალდამრღვევებად ცნობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და მათ მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება.

გასათვალისწინებელია, რომ ზემოხსენებულ თარიღებში მიმდინარე აქციის - „გააღვიძე ოლიგარქის“ მონაწილეების მიზანი იყო, დაეფიქსირებინათ პროტესტი „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მიმართ, 20-21 ივნისს საქართველოში რუსი დეპუტატის

ჩამოსვლისა და რუსეთის ოკუპაციის გასაპროტესტებლად გამართული შეკრების ძალის გამოყენებით დაშლის გამო.[1]

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განმარტებით, ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, სოლიდარობის გამოხატვა, რა თქმა უნდა, შეფასდება შეკრებად, თუმცა პროტესტის საგანი ვერ გახდება ამა თუ იმ ადამიანის მიერ იმ უფლებით სარგებლობა, რომელიც ადამიანის არსებობის საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ შეკრების მონაწილეთა მიზანს ხმაური წარმოადგენდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა შეკრება არ წარმოადგენდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ „შეკრებას".

2. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.

ამავე კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, შემოწმების შედეგების მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტების იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ. სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის გამოყენება საშუალებას აძლევს სახალხო დამცველს, სასამართლოს მიაწოდოს ნორმატიული ან ფაქტობრივი სახის ინფორმაცია, რომლებიც ადამიანის უფლებებთან უშუალოდ არის დაკავშირებული, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობის პროცესში.

3. სამართლებრივი დასაბუთება

განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების, შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებს. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავს საქმეებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრების მიზანს წარმოადგენს შეკრების თავისუფლებით დაცული სფეროსა და მისი მართლზომიერი შეზღუდვის სტანდარტის განხილვის გზით, გამოკვეთოს ის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, რაც სასამართლოს მოცემული საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

---

[1] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://rustavi2.ge/ka/news/140241>; <https://bit.ly/2OsQjuV> <https://ajaratv.ge/article/46583> [ბოლოს ნანახია: 08.10.2019].

3.1. შეკრების თავისუფლებით დაცული სფერო

შეკრების თავისუფლება, როგორც აზრის გავრცელების საშუალება, გამოხატვის სპეციალურ ფორმას წარმოადგენს[2] და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძველს ქმნის.[3] შეკრება ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.[4] ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობისა და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს.[5]

შეკრების და აზრის საჯაროდ გამოთქმის შესაძლებლობა საგანგებოდ არის დაცული საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, რომელიც უფლებას აღწერს, როგორც საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების შესაძლებლობას და განსაზღვრავს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს - წინასწარი ნებართვის გარეშე შეკრების უფლებას.[6] ამავდროულად, შეკრების თავისუფლება რეგლამენტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხლით.

შეკრებას კონსტიტუციურ უფლებად მისი შინაარსი და მიზანი აქცევს. ადამიანთა თავყრილობა, რომელიც მოკლებულია იდეას, არ ემსახურება აზრის, ინფორმაციის გაზიარებას ან გავრცელებას[7] ან/და ატარებს ძალადობრივ ხასიათს,[8] სცდება კონსტიტუციით დაცულ სფეროს.

ზემოაღნიშნული მოწესრიგების ფარგლებში, დაცულია არა მხოლოდ ის აზრი, რომელსაც შეკრება ემსახურება, არამედ უფლების სუბიექტის მიერ მის გამოსახატად შერჩეული დრო, ადგილი და ფორმაც.[9] თავის მხრივ, შეკრების ფორმის არჩევის უფლება შესაძლებელს ხდის მისი მიმდინარეობისას კონკრეტული აზრის ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის

---

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II. პარ. 3-4.

[3] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Djavit An v. Turkey,* პარ. 56.

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 25; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.26.

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 25

[6] *იქვე,* პარ. 7.

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ.3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ.7.

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-18 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Kudrevičius and Others v. Lithuania* განმარტა, რომ კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება ყველა სახის შეკრებაზე, გარდა შეკრებებისა, რომელთა ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ძალადობრივი განზრახვები ამოძრავებთ, ძალადობენ ან სხვაგვარად უარყოფენ დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს (პარ. 92); საქმეში *Cisse v. France* სასამართლომ მიუთითა, რომ პრაქტიკაში მხოლოდ იმგვარი ღონისძიებები არ დაკვალიფიცირებულა „მშვიდობიან შეკრებად“, რომლის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ ძალადობა (პარ. 37).

[9] *იქვე,* პარ. 4; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *SÁSKA v. HUNGARY,* პარ. 21.

სხვადასხვა მეთოდით დაფიქსირებას[10] იმგვარი საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა, მაგალითად, ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობები, ვიზუალური გამოსახულებები, კარვები და სხვა დროებითი კონსტრუქციები.[11] გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მიდგომა ასახულია ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის მიერ შემუშავებულ შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპებში, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის უმთავრეს საზომს წარმოადგენს და რომელზე მითითებას ვხვდებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში.[12]

3.2. უფლების შეზღუდვის წინაპირობების შეფასების სტანდარტი

მიუხედავად დემოკრატიული საზოგადოებისთვის შეკრების თავისუფლების კრიტიკული მნიშვნელობისა, აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური. მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სხვა თანაბარი ფასეულობის მქონე სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად და პროპორციულობის პრინციპის მკაცრი გათვალისწინებით.[13]

უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის მართლზომიერება, მსგავსად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მიდგომისა, მოწმდება სამ-საფეხურიანი სქემის მიხედვით: 1. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2. ჩარევა ემსახურება განსაზღვრულ ლეგიტიმურ მიზანს; და 3. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.[14]

განსახილველ შემთხვევაში, შეკრების მონაწილეების: ხ. ბ.-ის, ნ. კ.-ის, მ. კ.-ის, ბ. თ.-ის, მ. გ.-ის, მ. ქ.-ის, ა. გ.-ის, გ. დ-ის და დ. ც-ას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნობა განხორციელდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, აკრძალულია დღის საათებში ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განმარტებით, მითითებული პირები სხვადასხვა საყვირის მეშვეობით, ერთობლივად იწვევდნენ ხმაურს მათი საერთო მიზნის მისაღწევად.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მითითებული ნორმა ადგენს ქცევის ერთიან წესს და მის მიერ დაწესებული შეზღუდვა თანაბრად

---

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. პარ.7.

[11] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №3/6463-16, გვ. 10; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პარ.43; ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 99.

[12] OSCE/ODIHR, ODIHR contribution to the UN Draft guidelines on the effective implementation of the right to participate in public affairs, Pg. 6, available at: <goo.gl/aFEvZr> [ბოლოს ნანახია: 08.10.2019]; იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Frumkin v. Russia*, პარ. 80.

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პ.6.

[14] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, ნაწილი 3; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 11, ნაწილი 2; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Nurettin Aldemir and Others v. Turkey*, პარ. 38.

ვრცელდება ნებისმიერი მიზნით გამოწვეული აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტების შემთხვევებზე. ამდენად, ხსენებული ჩანაწერი საკმაოდ ფართოა და შეკრების სასურველი ფორმით ჩატარების შესაძლებლობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ვრცელ დისკრეციულ ნებაზე დამოკიდებულს ხდის, რაც გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას იწვევდეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეაფასოს არა მხოლოდ სადავო ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევის ფორმალური წინაპირობები, არამედ იმსჯელოს, გადაწყვეტილებით ხომ არ ხდება კონსტიტუციითა და საერთაშორისო შეთანხმებებით აღიარებული შეკრების ფუნდამენტური თავისუფლების ხელყოფა.

ამ მიზნით, სასამართლოს ზედამხედველობას ექვემდებარება, რამდენად არის უფლების შეზღუდვისთვის გამოყენებული ღონისძიებები აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითებით, შეკრების თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საყრდენია, რომელთან მიმართებითაც არსებობს მთელი რიგი გამონაკლისები, რომლებიც უნდა განიმარტოს ვიწროდ და დამაჯერებლად დადგინდეს ნებისმიერი შეზღუდვის აუცილებლობა. იმ გარემოების შეფასებისას, შეიძლება თუ არა უფლებაში ჩარევა მიჩნეულ იქნას „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული, თუმცა არა შეუზღუდავი მიხედულების ფარგლებით.[15]

შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩარევა იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, თუ იგი პასუხობს „მწვავე სოციალურ საჭიროებას“, კერძოდ, თანაზომიერია ლეგიტიმური მიზნის, რომლის მისაღწევადაც გამოიყენება და სახელმწიფო ორგანოების მიერ მის გასამართლებლად წარმოდგენილია „შესატყვისი და საკმარისი“ არგუმენტაცია.[16] ამგვარი შეფასებისას მხედველობაშია მისაღები, დაამყარეს თუ არა სახელმწიფო ორგანოებმა გადაწყვეტილება რელევანტური ფაქტების შეფასებას მისაღები ხარისხით.

თანაზომიერების პრინციპი მოითხოვს, რომ ბალანსი იყოს დაცული, ერთი მხრივ, ლეგიტიმური მიზნებისა და, მეორე მხრივ, ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში შეკრებილი ადამიანების თავისუფალი გამოხატვის მოთხოვნებს შორის.[17] ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია, რომ საჯარო სივრცეში გამართულმა ნებისმიერმა შეკრებამ შესაძლოა გამოიწვიოს ცხოვრების ჩვეული რიტმის გარკვეულ დონეზე დარღვევა[18] ან იმ პირთა შეწუხება თუ შეურაცხყოფა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იდეებს და მოთხოვნებს, რომელთა პოპულარიზაციასაც შეკრება ემსახურება,[19] თუმცა ეს ფაქტი თავისთავად არ ამართლებს უფლებაში ჩარევას.

[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Kudrevičius and Others v. Lithuania*, პარ. 142.

[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Coster v. the United Kingdom*, პარ. 104; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Kudrevičius and Others v. Lithuania*, პარ.143.

[17] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Kudrevičius and Others v. Lithuania*, პარ.144.

[18] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Oya Ataman v. Turkey,* პარ. 38;

[19] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Stankov and the United Macedonian Organisation Ilinden V. Bulgaria*, პარ. 86

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გამოიჩინოს გარკვეული ხარისხის შემწყნარებლობა თუნდაც უკანონო, მაგრამ მშვიდობიანი შეკრებების მიმართ.[20] ამასთან, აჩვენა თუ არა სახელმწიფომ „შემწყნარებლობის სათანადო ხარისხი“ შეუძლებელია განისაზღვროს *in abstracto:* სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის კონკრეტული გარემოებები, განსაკუთრებით კი, „ცხოვრების ჩვეული რიტმის დარღვევის“ ფარგლები.[21]

საყურადღებოა ის გარემოება, რომ უფლების ფორმალურ მხარეში ჩარევა და შესაბამისად, სუბიექტის ავტონომიის შეზღუდვა, თავისუფლად აირჩიოს შეკრების ჩატარების დრო, ადგილი და ფორმა (მათ შორის, გზავნილის გამოსახატად შერჩეული საშუალებები) მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ ჩარევა საფუძველს არ აცლის აზრს, რომელსაც კონკრეტული შეკრება ატარებს.[22] სწორედ მსგავს მიდგომას ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, როდესაც შეკრების დრო, ადგილი ან საშუალება არსებითი ან/და სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია მონაწილეებისთვის, ის პირდაპირ ებმის შეკრების მიზანს/გზავნილს და მისმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს უფლების დარღვევა.[23] შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სასამართლომ, მათ შორის, მხედველობაში მიიღოს, თუ რამდენად მჭიდრო კავშირი ჰქონდა შეკრების გამართვისთვის შერჩეულ ფორმას მის შინაარსთან.

რაც შეეხება შეზღუდვის დაწესებას შეკრების შინაარსზე, მისი მართლზომიერება ძალიან მკაცრი ტესტით შემოწმებას ექვემდებარება.[24] შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი ნებისმიერი ღონისძიება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს ძალადობის ხელშეწყობას ან დემოკრატიული პრინციპების უარყოფას, რაც უნდა შოკისმომგვრელი, მიუღებელი და არალეგიტიმური იყოს გარკვეული მოსაზრებები ან გამოყენებული სიტყვები სახელმწიფო ორგანოებისთვის, არ ემსახურება დემოკრატიას და საფრთხეშიც კი აგდებს მას.[25]

---

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Oya Ataman v. Turkey,* პარ. 39-42.

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Primov and Others v. Russia*, პარ. 145

[22] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 99.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *the United Macedonian Organisation Ilinden and Ivanov v. Bulgaria*, პარ. 108-109; აგრეთვე, იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Lashmankin and Others v. Russia*, პარ. 405.
აღსანიშნავია, რომ საქმეში *Lashmankin and Others v. Russia* სასამართლომ სათანადო დასაბუთებისა და შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, გაუმართლებლად მიიჩნია შეკრების ადგილი, დროის თუ ფორმის ცვლილების მოთხოვნა ისეთი მიზეზებით, როგორებიცაა იმავე დროს და ადგილას სხვა საჯარო ღონისძიების ჩატარება, *ცხოვრების ჩვეული რიტმის დარღვევის*, სხვა მანიფესტანტებთან დაპირისპირების ან სხვაგვარი უკანონო ქმედებების განხორციელების საშიშროების არსებობა. მსგავსი დასკვნა სასამართლომ დააფუძნა, მათ შორის, იმ გარემოებას, რომ მოცემულ საქმეში არ იკვეთებოდა შეკრების ორგანიზატორების მიერ ცხოვრების ჩვეული რიტმის დასაშვებ ფარგლებზე მეტად დარღვევის განზრახვა. ხსენებულ საქმეში, სასამართლომ ასევე განმარტა, რომ როდესაც ხელისუფლება შეკრების მონაწილეებს მისი გამართვის ალტერნატიულ ადგილს სთავაზობს, მსგავსი ლოკაცია უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ კვლავ არსებობდეს სასურველი შეტყობინების სამიზნე ჯგუფისთვის მიწოდების შესაძლებლობა და არ ხდებოდეს მისი ეფექტის განადგურება.

[24] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 94.

[25] სწორედ აღნიშნული პრინციპი მიიღო მხედველობაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Stankov and the United Macedonian Organisation Ilinden V. Bulgaria*, როდესაც უფლების დარღვევა დაუკავშირა, მათ შორის, მოსარჩელეებისთვის საკუთარი მოსაზრებების პოსტერების, მოწოდებების და გამოსვლების საშუალებით გაჟღერების

თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის მიერ შემუშავებულ შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, დაცულობის მაღალი ხარისხით სარგებლობს პოლიტიკური შინაარსის შეკრებები და დაუშვებელია, ხელისუფლებისა თუ საჯარო მოხელეების კრიტიკამ შექმნას საკმარისი საფუძველი უფლების შეზღუდვისთვის.[26] ხსენებული საკითხის მიმართ მსგავსი მიდგომა აქვს აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომლის მითითებით, სახელმწიფოს დისკრეცია, ჩაერიოს უფლებით დაცულ სფეროში, საგრძნობლად მცირდება, როდესაც სახეზეა პოლიტიკური შინაარსის გამოხატვა.[27] აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ დემოკრატიულ სისტემაში ხელისუფლების ქმედებები უნდა დაექვემდებაროს არა მხოლოდ საკანონმდებლო და სასამართლო, არამედ საზოგადოებრივი აზრის მხრიდან განსჯას.[28]

გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე საქმე შეეხება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების - შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებს, საკითხის სათანადო შეფასების მიზნით, უმნიშვნელოვანესია, სრულყოფილად განიმარტოს როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, აგრეთვე შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში ასახული გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო და მისი მართლზომიერი შეზღუდვის სტანდარტები. ამ კუთხით, არსებითია, სამართალშეფარდება განხორციელდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით დადგენილი ზემოხსენებული პრინციპების დაცვით.

ამდენად, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.

შესაძლებლობის ჩამორთმევას. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ინდივიდების ჯგუფის მიერ ავტონომიის ან თუნდაც ქვეყნის გარკვეული ნაწილის სეცესიის და შესაბამისად, ფუნდამენტური კონსტიტუციური თუ ტერიტორიული ცვლილებების მოთხოვნის ფაქტი ვერ გაამართლებს შეკრების თავისუფლებაში ჩარევას. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ დემოკრატიის არსი პრობლემების საჯარო დებატების გზით გადაწყვეტის შესაძლებლობაში გამოიხატება პარ. 97).

[26] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 94.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Ceylan v. Turkey*, პარ. 34

[28] *იქვე.*